

ჭიქიანის ობსიდიანის საბადოს გეოლოგია და გამოყენების პერსპექტივა

მიხეილ არჯევანიძე

mixeil.arjevanidze985@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ. 13, თბილისი, საქართველო, 0186

ჭიქიანის მთა მდებარეობს სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ჯავახეთის ქედის ჩრდილო ნაწილში, მისი სიმაღლეა 2415 მეტრი. ჯავახეთის ჯედაზე ვულკანური ფორმები წარმოადგენილია ცალკეული კონუსებითა და გუმბათებით, რომლებიც არ ქმნის ერთიან ჯაჭვს. ჭიქიანი ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს. ჭიქიანის მთა აგებულია: დაციტებით, რიოლიტებით, პერლიტებითა და ობსიდიანით. ობსიდიანი, იგივე ვულკანური მინა, წარმოიქმნება დედამიწის ზედაპირზე მაგმის სწრაფი გაციებისას. ის შავი, ნაცრისფერი, წითელი ფერისაა. ქიმიური ანალიზის მიხედვით აღმოჩნდა რომ შედგენილობით იგი ახლოს დგას რიოლიტებთან. ობსიდიანი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება: უძველეს დროში მას გამოიყენებდნენ როგორც საბრძოლო იარაღს, ახლანდელ დროში მას გამოიყენებენ მუქი მინის წარმოებაში, სამშენებლო მასალებში საცემენტე მასალად, გამოიყენება სანახელო ქვადაც.